დანართი №2

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

საგანმანათლებლო პროგრამების

კლასტერის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

მევენახეობის და მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
მევენახეობის და მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო ინგლისურენოვანი პროგრამა,

საქართველოს უნივერსიტეტი

27-28 აპრილი, 2026

13 ივლისი, 2026

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 13

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 16

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან 16

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ზოლტ ჟოფი, ესტერჰაზი კაროლის კათოლიკური უნივერსიტეტი, უნგრეთი.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მანუჩარ მესხიძე, დარგის ექსპერტი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლაშა ბოდაველი, დარგის ექსპერტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე, ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მარიამ ბურმისტოვა, სტუდენტი ექსპერტი, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულად	მევენახეობა და მეღვინეობა	მევენახეობა და მეღვინეობა (ინგლისურენოვანი)
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ინგლისურად	Viticulture and Enology	Viticulture and Enology (in English)
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მევენახეობისა და მეღვინეობის ბაკალავრი	Bachelor of Viticulture and Enology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მევენახეობა და მეღვინეობა - 0811.1.2	Viticulture and Enology - 0811.1.2
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1]		
სწავლების ენა	ქართული	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	180 ECTS კრედიტი	180 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი	ახალი

[1] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

კლასტერი მოიცავს მევენახეობა-მეღვინეობის ორი ახალ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას: ერთ ქართულენოვან და ერთ ინგლისურენოვან პროგრამას. ორივე პროგრამა შემოთავაზებულია საქართველოს უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის მიერ. პროგრამები მიეკუთვნება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს, ანიჭებს მევენახეობა-მეღვინეობის ბაკალავრის კვალიფიკაციას და თითოეული მოიცავს 180 ECTS კრედიტს. დეტალური სფეროა - მევენახეობა და მეღვინეობა, კოდი 0811.1.2. ქართულენოვანი პროგრამა ხორციელდება ქართულ ენაზე, ხოლო ინგლისურენოვანი პროგრამა — ინგლისურ ენაზე. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ინგლისურენოვანი პროგრამა სტრუქტურულად ქართულენოვანი პროგრამის მსგავსია, თუმცა მეტად ორიენტირებულია საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებზე.

პროგრამების მიზანია მოამზადოს მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ თეორიული ცოდნა, პრაქტიკული დარგობრივი უნარები და გაგება, რომ გააანალიზონ ყურძნის მოყვანისა და ღვინის წარმოების თანამედროვე და ტრადიციული მიდგომები. პროგრამები მიზნად ისახავს მევენახეობის, მეღვინეობის, ყურძნის მოყვანასა და ღვინის წარმოებასთან დაკავშირებული ბიოქიმიური, მიკრობიოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური პროცესების შესწავლას, ასევე, ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

27–28 აპრილს ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა აკრედიტაციის ვიზიტი . ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამების ხელმძღვანელებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებს, სტუდენტებს და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა თვითშეფასების ანგარიში, საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსები, პერსონალთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ინფორმაცია მატერიალური, საბიბლიოთეკო და ლაბორატორიული რესურსების შესახებ, აგრეთვე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სხვა დამხმარე დოკუმენტები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მევენახეობისა და მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსების შესაბამისობის შეფასებას. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა, რამდენად უზრუნველყოფს არსებული ინფრასტრუქტურა და ამ მიმართულებით დაგეგმილი სამუშაოები პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, მათ შორის, სტუდენტების უნარების განვითარებას ყურძნის გადამუშავების, ექსპერიმენტული ღვინის წარმოებისა და ღვინის ანალიზის მიმართულებით.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, პროგრამები ზოგადად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს. პროგრამების მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მევენახეობა-მეღვინეობის სწავლის სფეროს მოთხოვნებთან და შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს. პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი შემუშავებულია, რომ აღჭურვოს სტუდენტი დარგობრივი ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით. მიუხედავად იმისა, რომ კრედიტების განაწილების სტანდარტიზებული მოდელი უზრუნველყოფს კურიკულუმის თანმიმდევრულობას, ყველა საგნისთვის ერთნაირი კრედიტის მინიჭება არ აჩვენებს ცალკეული საგნის განსხვავებულ აკადემიურ სირთულეს, პრაქტიკულ ინტენსივობასა და დატვირთვას, რაც დარგობრივი თავისებურებებით არის გამოწვეული. კერძოდ, სპეციალიზებულ, სამეცნიერო და ტექნოლოგიურ კურსებს იგივე კრედიტი აქვთ მინიჭებული, რაც ზოგადად, არჩევით და დამხმარე კურსებს. კრედიტების დიფერენცირებული განაწილება უკეთ ასახავდა ცალკეული კურსების ფარგლებში არსებულ დატვირთვასა და მათ პროფესიულ მნიშვნელობას.

პროგრამების განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსი ამ ეტაპზე საკმარისია. პროგრამას ახორციელებენ კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებსაც აქვთ შესაბამისი აკადემიური და/ან პროფესიული გამოცდილება. პერსონალის სია ადასტურებს, რომ დარგობრივი კომპეტენციების განხორციელებას უზრუნველყოფენ შესაბამისი სფეროების — მევენახეობის, მეღვინეობის, ღვინის ქიმიის, მიკრობიოლოგიის, ღვინის ანალიზის, ვენახის მართვის, სურსათის უვნებლობის -სპეციალისტები და მომიჯნავე დარგების წარმომადგენლები. შესაბამისად, კომპონენტი 4.1 - ადამიანური რესურსი - შეფასებულია, როგორც შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა სერიოზული ხარვეზი, მატერიალური რესურსების მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ზოგად სასწავლო ინფრასტრუქტურას, როგორიცაა საბიბლიოთეკო და ციფრული რესურსები, ზოგადი დანიშნულების ლაბორატორიული ბაზა, მევენახეობისა და მეღვინეობის დარგისთვის სპეციფიკური მატერიალური ბაზა ჯერჯერობით საკმარისი არ არის. შეფასების მომენტისთვის, უნივერსიტეტს არ გააჩნდა სრულად ფუნქციონირებადი, პროგრამაზე მორგებული მეღვინეობის საწარმოო ბაზა, ვენახი და ღვინის ანალიზის ლაბორატორია, რომელიც სტუდენტებს საშუალებას მისცემდა სისტემატურად მოემზადებინათ ექსპერიმენტული ღვინის ნიმუშები და ჩაეტარებინათ შესაბამისი ფიზიკურ-ქიმიური და ენოქიმიური ანალიზები. აკრედიტაციის სახელმძღვანელო ხაზგასმით მიუთითებს, რომ მატერიალური რესურსები, რაოდენობრივი და ხარისხობრივი თვალსაზრისით, უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. ეს გულისხმობს შესაბამისი ლაბორატორიების, პრაქტიკული კომპონენტისათვის საჭირო ინვენტარის, აღჭურვილობის, რეაგენტების და/ან, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ხელშეკრულებების არსებობას.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს, რომ უნივერსიტეტს გაცნობიერებული აქვს აღნიშნული ხარვეზი და გამოხატავს მზაობას მის გამოსასწორებლად. თვითშეფასების ანგარიშში, უსდ თავად მიუთითებს თანამედროვე მოწყობილობების, საკუთარი ვენახისა და მარნის საჭიროებაზე და გეგმავს პორტატული ღვინის ანალიზის მოწყობილობის შეძენას, მცირე სიმძლავრის მარნის მოწყობას, დარგობრივი რესურსების განახლებას და ვენახის ნაკვეთისა და მარნის მოწყობას. იმის გათვალისწინებით, რომ

დაწესებულება მზადაა საშუალოვადიან პერსპექტივაში გადაჭრას აღნიშნული პრობლემა, კომპონენტი 4.4 — მატერიალური რესურსები შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1.1.

- რეკომენდებულია, პროგრამას თან ერთვოდეს სხვადასხვა შემფასებლის მიერ დამოუკიდებლად მომზადებული გარე შეფასებები.

1.4.

- რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსი „ნიადაგმცოდნეობა“ გახდეს სავალდებულო, მევენახეობა-მეღვინეობასა და მდგრადი ღვინის წარმოებაში მისი მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით.

1.5.

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებისთვის, რომლებიც მოითხოვს ლაბორატორიულ კომპეტენციებს, განისაზღვროს შესაბამისი პრაქტიკული საათები და დაინერგოს ლაბორატორიაზე დაფუძნებული სასწავლო აქტივობები.

2.1.

-რეკომენდებულია, რომ პროგრამის ფარგლებში, წინასწარ შემუშავდეს მკაფიო მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებასა და მომზადებას საველე პრაქტიკის კომპონენტების, რეგიონული მობილობის მოთხოვნებისა და პრაქტიკული სწავლების სპეციფიკური მოთხოვნების შესახებ. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურ დაგეგმვას და გააუმჯობესებს სტუდენტების ჩართულობისა და მონაწილეობის ხარისხს.

2.2.

- რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა შექმნას საკუთარი, პრაქტიკული სასწავლო ობიექტები, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების მდგრადობისა და ეფექტურობის გაძლიერების მიზნით.

2.3.

- რეკომენდებულია, იმ სასწავლო კურსებისთვის, რომლებიც მოითხოვს ლაბორატორიულ კომპეტენციებს, განისაზღვროს შესაბამისი საათობრივი დატვირთვა და დაინერგოს პრაქტიკული მეცადინეობები.

2.4.

- რეკომენდებულია, დეტალურად განისაზღვროს პრაქტიკული სწავლების/ სტაჟირების შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები, მათ შორის შეფასების მეთოდები, პასუხისმგებელი პირები და კომპონენტები, შეფასების პროცესის გამჭვირვალობისა და ობიექტურობის მიზნით.

- რეკომენდებულია, საბაკალავრო ნაშრომისთვის შემუშავდეს შეფასების მკაფიო კრიტერიუმები და რუბრიკები, რომლებიც აისახება შესაბამის სილაბუსებსა და მარეგულირებელ დოკუმენტაციაში.

4.3.

- რეკომენდებულია, შემუშავდეს პროცედურები, რომელიც სრულყოფილად გააცნობს პარტნიორებს მათ ვალდებულებებს, ხოლო მემორანდუმებში დეტალურად განისაზღვროს პასუხისმგებლობები, მიღების პერიოდები და სტუდენტთა კვოტები.

4.4.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სასწავლო პროგრამისთვის საჭირო მატერიალური რესურსების შექმნა და მათი სრულად ფუნქციონირებისთვის მზადყოფნა. ეს მოიცავს სასწავლო/კვლევით მეღვინეობას ან მცირე მასშტაბის საცდელი ღვინის დაყენების ლაბორატორიას, ვენახის ბაზას და სათანადოდ აღჭურვილ ღვინის ანალიზის ლაბორატორიის შექმნას. აღნიშნული რესურსები აუცილებელია იმისათვის, რომ სტუდენტებმა შეძლონ ექსპერიმენტული ღვინის ნიმუშების დამოუკიდებლად დამზადება და შესაბამისი ფიზიკურ-ქიმიური და ენოლოგიური ანალიზების სისტემურად ჩატარება.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სრულად შეიძინოს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა.

5.1.

- რეკომენდებულია, თვითშეფასების პროცესი იყოს უფრო კრიტიკული და პროგრამების ჰოლისტურ შეფასებაზე ორიენტირებული, რაც ამ პროცესში პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

- **რჩევები**

1.4.

- სასურველია, სასწავლო კურსი „შრომის უსაფრთხოება მევენახეობასა და მეღვინეობაში" შეტანილი იქნეს სავალდებულო კურსების ჩამონათვალში, რადგან კურსდამთავრებულებს სამომავლოდ მოუწევთ როგორც ოპერაციული, ისე მენეჯერული პასუხისმგებლობების შესრულება, ვენახებსა და მეღვინეობაში.

- სასურველია, კრედიტები განისაზღვროს არა ერთიანი ინსტიტუციური მიდგომით, არამედ ინდივიდუალურად, თითოეული კურსის მნიშვნელობისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში მათი წვლილის გათვალისწინებით.

-სასურველია, არსებული კურსი „ინგლისური მევენახეობისა და მეღვინეობისთვის“ გადავიდეს შემდეგ სემესტრში ან ზედა სემესტრებში, დაემატოს უფრო მაღალი დონის სპეციალიზებული კურსი — „ინგლისური მევენახეობისა და მეღვინეობისთვის II“.

1.5.

- მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის შიდა რეგულაციით, ყველა სასწავლო კურსს თანაბარი რაოდენობის კრედიტი ენიჭება, სასურველია, აღნიშნული პრაქტიკა გადაიხედოს მოცემული პროგრამის შემთხვევაში. რთულია დაშვება, რომ არჩევითი კურსის დასაუფლებლად საჭირო სამუშაო დატვირთვა ძირითადი პროფესიული საგნის სამუშაო დატვირთვას უტოლდება.

2.4.

- სასურველია, მოწვეული პერსონალის სრული ინფორმირება შეფასების ვადებსა და ადმინისტრაციულ პროცედურებთან დაკავშირებით, ინსტიტუციური სტანდარტების თანმიმდევრულობისა და დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

- სასურველია, უნივერსიტეტმა მეტად შეუწყოს ხელი სტუდენტების ცნობიერების ამაღლებასა და მათ მიერ „Turnitin“-ის პლატფორმის აქტიურ გამოყენებას, აკადემიური კეთილსინდისიერების მხარდამჭერი მექანიზმების გაძლიერების მიზნით.

3.1.

- სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს კურსდამთავრებულებთან სისტემური კომუნიკაციისა და უკუკავშირის მექანიზმები, მათ შორის, დასაქმების შედეგებსა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული მონაცემების რეგულარული შეგროვებისა და ანალიზის მიმართულებით.

- სასურველია, გაიზარდოს დარგის წარმომადგენლებისა და დამსაქმებელი ორგანიზაციების ჩართულობა სტუდენტთა პრაქტიკულ მომზადებასა და კარიერულ განვითარებაში, განსაკუთრებით სტაჟირებისა და პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების პროცესში.

- სასურველია, სტუდენტებს წინასწარ მკაფიოდ მიეწოდოთ ინფორმაცია სტიპენდიების ოდენობისა და მათი დამატებითი განაწილების პროცედურების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს პროცესის გამჭვირვალობისა და პროგნოზირებადობის გაზრდას.

4.1.

- სასურველია, უნივერსიტეტმა განაგრძოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერა თანამედროვე მევენახეობასა და მეღვინეობაში, მათ შორის ღვინის ანალიზის თანამედროვე მეთოდების, მდგრადი მევენახეობისა და ღვინის წარმოების საერთაშორისო პრაქტიკის მიმართულებით.

4.4.

-სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს დეტალური განხორციელების გეგმა, რომელიც განსაზღვრავს მკაფიო ვადებს, ბიუჯეტს, პასუხისმგებელ პირებს და გაზომვად ინდიკატორებს მეღვინეობის, ვენახისა და დარგობრივი ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის შესაქმნელად. -ასევე, სასურველია განისაზღვროს, როგორ შეძლებენ როგორც ქართულენოვანი, ასევე ინგლისურენოვანი პროგრამების სტუდენტები ამ რესურსებზე წვდომას დაგეგმილი სტუდენტების კვოტის შესაბამისად.

- **საგანმანათლებლოპროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:**

წარმოდგენილი მონაცემები აჩვენებს პროგრამის აკადემიური პერსონალის შემადგენლობას, მათ აკადემიურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. პროგრამის აკადემიური პერსონალი რეგულარულად აქვეყნებს საერთაშორისო პუბლიკაციებსა და მონაწილეობს კონფერენციებში, რაც ადასტურებს პროგრამის აკადემიურ და კვლევით ორიენტაციას. თუმცა, წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის სრული, რადგან რამდენიმე აუცილებელი ინდიკატორი აკლია.

შემოთავაზებული პროგრამები ახალია; შესაბამისად, მონაცემები პროგრამაში ჩარიცხული სტუდენტების, სტუდენტების პროგრესის, დასრულების მაჩვენებლებისა და აკადემიური პერსონალის გადინების შესახებ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ამჟამად ხელმისაწვდომი არ არის.

- **თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.**

წარმოდგენილი პერსონალის სიის მიხედვით, პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამების შინაარსს. განმახორციელებელი პერსონალი მოიცავს როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალს, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც ზოგადი, ისე დარგობრივი კომპონენტების სწავლებას. დარგობრივი სწავლება მოიცავს მევენახეობას, მეღვინეობას, ღვინის ქიმიას, ღვინის მიკრობიოლოგიას, ღვინის ანალიზის მეთოდებს, ამპელოგრაფიას, ვენახის მართვას, ღვინის ტექნოლოგიას, სურსათის უვნებლობას და სხვა დაკავშირებულ სფეროებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია მიუთითებს, რომ არსებული ადამიანური რესურსი, საერთო ჯამში, საკმარისია პროგრამების განხორციელებისთვის. თუმცა, მატერიალური რესურსების შესწავლამ აჩვენა, რომ საჭიროა დამატებითი ინვესტიციები და დარგობრივი პრაქტიკული ბაზის განვითარება , მათ შორის ვენახის, ღვინის წარმოებისა და

ღვინის ანალიზის ლაბორატორიის მიმართულებით. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროგრამების პრაქტიკული სწავლის შედეგების მისაღწევად.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[2]**

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტთან დაკავშირებით, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად განიხილა. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განმარტებები და მოსაზრებები, თუმცა მიიჩნია, რომ ისინი არ წარმოადგენდა საკმარის საფუძველს რეკომენდაციების არსებითი ცვლილების ან შეფასებების გაუმჯობესებისთვის. შესაბამისად, რეკომენდაციები და შეფასებები უცვლელად დარჩა. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ საქართველოს უნივერსიტეტში დანერგილია და ინსტიტუციურ დონეზე ეფექტიანად ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები და მექანიზმები, რაც დასკვნაშიც ნათლად არის ასახული. ამასთანავე, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, თვითშეფასების პროცესის მიზნებიდან გამომდინარე, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით უფრო კრიტიკული და სიღრმისეული ანალიზი მეტად შეუწყობდა ხელს პროგრამების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

[2]პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტით დადგენილი კრიტერიუმები გამოიყენება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან ერთად.

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ლინკი):

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტი

აკრედიტაციის სტანდარტებისა და დოქტორანტურის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისობა

შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

აკრედიტაციის ექსპერტთათვის პროგრამების კლასტერის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით: კლასტერული და საჭიროების შემთხვევაში - ინდივიდუალური შეფასება.

კლასტერული შეფასება: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან პროგრამების ერთიანი მახასიათებლის ნიშნით.
ინდივიდუალური შეფასება: საჭიროების შემთხვევაში, ასევე შეგიძლიათ მიუთითოთ ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან. **პროგრამის ინდივიდუალური შეფასება** მნიშვნელოვანია განხორციელდეს სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე სხვა ნებისმიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც გაიცემა - რეკომენდაცია ან/და რჩევა.

III. პროგრამების
სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

№	**დასახელება/ სტანდარტი**	მევენახეობა და მეღვინეობა	მევენახეობა და მეღვინეობა (ინგლისურენოვანი)
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
1.1	პროგრამის მიზნები	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
1.3	1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
1.4.	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
2.	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია

	ტრანსფერული უნარების განვითარება		
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები;	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტების შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**შესაბამისობაშია**	**შესაბამისობაშია**
3.1	3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
3.2	მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი	აირჩიეთ შესაბამისი
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
4.1	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
4.2	4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი	აირჩიეთ შესაბამისი
4.3	4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
4.4	მატერიალური რესურსი	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	**შესაბამისობაშია**	**შესაბამისობაშია**
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია

5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე ან/და არსებული ცოდნის განვითარებაზე, ცოდნის რეალიზებისა და გავრცელების ხელშეწყობაზე ორიგინალური, თანამედროვე და ინოვაციური კვლევების განხორციელებით;
- სახელოვნებო - შემოქმედებითი სფეროს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს საშემსრულებლო და/ან შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის მიზანია საერთაშორისო დონის ორიგინალური პროექტის შექმნა თანმხლები კვლევითი კომპონენტით, რომელშიც ნათლად ჩანს დოქტორანტის თვითმყოფადი შემოქმედებითი ხედვა, მაღალი დარგობრივი კომპეტენციები და შემოქმედებითი კვლევის შედეგად მიღებული ახალი ცოდნა;
- სადოქტორო პროგრამის მიზანია კვლევითი უნარების გაღრმავების გზით ხელი შეუწყოს დოქტორანტების მომზადებას დამოუკიდებელი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისთვის, ასევე, საკვლევი თემატიკის გათვალისწინებით, ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი კვლევის საქმიანობის განხორციელების სტრატეგიას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

უნივერსიტეტმა წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც შემუშავებულია მევენახეობა-მეღვინეობის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად. პროგრამის კოორდინატორთა და სკოლის დირექტორის მიერ მოწოდებული განმარტებების თანახმად, პროგრამა შემუშავდა, ერთი მხრივ, დაწესებულების სტრატეგიული მიზნებისა და, ორმაგი დიპლომის გაცემის მიზნით, უცხოურ უნივერსიტეტებთან პარტნიორობის გათვალისწინებით, და მეორე მხრივ, საქართველოს მასშტაბით მოქმედი ანალოგიური პროგრამების ანალიზისა და შედარების საფუძველზე.

წარმოდგენილ დოკუმენტებში, პროგრამის მიზნები ნათლად არის განსაზღვრული. პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებს მისცეს როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული ცოდნა მევენახეობისა და მეღვინეობის მიმართულებით, რაც მოიცავს თანამედროვე და ტრადიციული ტექნოლოგიების გამოყენებას, პრობლემების გადაჭრის უნარის განვითარებას და პროფესიულ გარემოში დამოუკიდებელ მუშაობას. პროგრამის მიზნები რეალისტურია, მიღწევადია და შეესაბამება ბაკალავრის დონის კვალიფიკაციას.

კურიკულუმი ითვალისწინებს დარგის სპეციფიკურ მახასიათებლებს და აერთიანებს სამეცნიერო, ტექნოლოგიურ, სასოფლო-სამეურნეო, მიკრობიოლოგიურ და პრაქტიკულ კომპონენტებს. კურიკულუმი თანმიმდევრულია, რაც გულისხმობს STEM-ისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საბაზო საგნებიდან პროფესიული მიმართულების მოწინავე კურსებამდე გადასვლას. პროგრამა ორიენტირებულია მევენახეობასა და მეღვინეობაში პროფესიული კომპეტენციების განვითარებაზე, ასევე, კომუნიკაციური და ანალიტიკური უნარების, მონაცემთა ინტერპრეტაციისა და ეთიკური პროფესიული პრაქტიკის ჩამოყალიბებაზე.

პროგრამის მიზნები ხელს უწყობს საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის სექტორის განვითარებას, რადგან პასუხობს კვალიფიციურ პროფესიონალებზე არსებულ მოთხოვნას და ხელს უწყობს დარგის მოდერნიზაციას. ტრადიციული ქართული მეღვინეობის მემკვიდრეობის თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკასთან ინტეგრაცია ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას.

პროგრამა შეესაბამება საქართველოს უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ პრიორიტეტებს, განსაკუთრებით, კომპეტენციებზე დაფუძნებულ განათლებას, შრომის ბაზრის შესაბამისობას, ინოვაციასა და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. პრაქტიკულ სწავლება და ინტერნაციონალიზაცია უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმართულებაა.

პროგრამის მიზნები ეფუძნება შრომის ბაზრის ანალიზსა და დარგის საჭიროებებს, მათ შორის, კადრების დეფიციტს, მოდერნიზაციის აუცილებლობას და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას. პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ დამსაქმებლები და ინდუსტრიის წარმომადგენლები, ხოლო კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო ტენდენციები.

ინტერნაციონალიზაცია რამდენიმე გზით ვლინდება: პროგრამა ინგლისურ ენაზე ხორციელდება; მისი შინაარსი მოიცავს მევენახეობასა და მეღვინეობაში დამკვიდრებულ გლობალურ პრაქტიკებს; და ეყრდნობა საერთაშორისო პარტნიორობებსა და მსგავს პროგრამებთან შედარებით ანალიზს.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასევე ადასტურებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას პროგრამის შემუშავებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში — რაც გულისხმობს დამსაქმებელთა მონაწილეობას, აკადემიური პერსონალის ჩართულობას, უკუკავშირის მექანიზმების

არსებობას და სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და ლექტორების მონაწილეობით განხორციელებულ გამოკითხვებს.
საბოლოოდ, უნივერსიტეტმა ექსპერტებს წარუდგინა ორი დამოუკიდებელი გარე შეფასების დოკუმენტი. განხილვის შემდეგ ცხადი გახდა, რომ მიუხედავად პოზიტიური ფორმულირებისა, ისინი მეტწილად მსგავსი იყო შინაარსის, თემატური სტრუქტურისა და, ხშირ შემთხვევაში, ფორმულირების თვალსაზრისით. ამან შექმნა შთაბეჭდილება, რომ დოკუმენტები ერთი და იმავე პირის მიერ სუბიექტურად არის მომზადებული. პასუხად, პროგრამის კოორდინატორებმა ექსპერტთა ჯგუფს აცნობეს, რომ საჭიროების შემთხვევაში, დამატებით წარმოადგენდნენ უცხოელი ექსპერტის მიერ მომზადებულ გარე შეფასებას. თუმცა, აღნიშნული დოკუმენტიც სრულად იმეორებდა წინამდებარე შეფასებების სტრუქტურას და არაერთ შემთხვევაში წარმოადგენდა იმავე ფორმულირებების პირდაპირ თარგმანს.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)[3]

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- ბაზრის კვლევა;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად

[3] აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, „პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)“, „პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური)“ და ა.შ. *(მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).*

	თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	**რეკომენდებულია, პროგრამას თან ერთვოდეს სხვადასხვა შემფასებლის მიერ დამოუკიდებლად მომზადებული გარე შეფასებები.**	-
მევენახეობა და მეღვინეობა,საბაკალავრო პროგრამა	-	-
მევენახეობა და მეღვინეობა,ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	-	-

შეფასება [4]

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	**შეფასება**
მევენახეობა და მეღვინეობა, ბაკალავრიატი	მეტწილად შესაბამისობაშია
მევენახეობა და მეღვინეობა, ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

სადოქტორო პროგრამა ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შეესაბამება კვალიფიკაციის მე-8 დონის აღმწერს;

[4]შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

- სადოქტორო ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის შედეგებს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე აქვს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებით- კვლევითი მნიშვნელობა, არის ინოვაციური და პრაქტიკული/თეორიული ღირებულების მქონე.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები კარგად არის სტრუქტურირებული და შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მევენახეობა-მეღვინეობის დარგობრივ მახასიათებლებს. ისინი მკაფიოდ განსაზღვრავენ კურსდამთავრებულთა მოსალოდნელ კომპეტენციებს ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მხრივ, მათ შორის — თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, ანალიტიკურ აზროვნებას, კომუნიკაციას, ეთიკურ ქცევასა და დამოუკიდებელ პროფესიულ საქმიანობას. სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია.

პროგრამა იყენებს ყოვლისმომცველ შეფასების სისტემას, რომელიც აერთიანებს პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის თანახმად, სწავლის შედეგების მიღწევა რეგულარულად მოწმდება გამოცდების, კურსის შეფასებების, კითხვარებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მეშვეობით. კურიკულუმის რუკა და სამიზნე ნიშნულების სისტემა კიდევ უფრო უწყობს ხელს სწავლის შედეგების სტრუქტურირებულ შეფასებას და გაზომვას.

სწავლის შედეგები შეესაბამება ბაკალავრის დონის კვალიფიკაციის მოთხოვნებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას — მევენახეობისა და მეღვინეობის ბაკალავრის ხარისხს. დოკუმენტაცია აჩვენებს შესაბამისობას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს კომპეტენციებზე დაფუძნებულ ლოგიკასთან.

პროგრამის სწავლის შედეგები ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული შრომის ბაზრის საჭიროებებთან და სფეროს სპეციფიკურ მახასიათებლებთან. ისინი პასუხობს დარგში არსებულ გამოწვევებსა და კვალიფიციურ პროფესიონალებზე არსებულ მოთხოვნას, რაც გამოიხატება იმით, რომ პროგრამა ხაზს უსვამს პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას, ტექნოლოგიური ცოდნის გაღრმავებასა და პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარის განვითარებას. პროგრამა ხელს უწყობს როგორც კურსდამთავრებულთა დასაქმებას, ასევე, განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლების გაგრძელებას.

სწავლის შედეგების შემუშავებასა და უწყვეტ შეფასებაში რამდენიმე დაინტერესებული მხარე მონაწილეობს. პროგრამის განვითარების საბჭოში შედიან აკადემიური პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლები, სტუდენტები, დამსაქმებლები და მოწვეული ლექტორები. პროგრამის მონიტორინგს დამატებით უზრუნველყოფს არსებული უკუკავშირის მექანიზმები, რომელიც გულისხმობს სტუდენტების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და ლექტორების ჩართულობას და ხელს უწყობს პროგრამის აქტუალობისა და ხარისხის შენარჩუნებას.

კლასტერში შემავალი პროგრამების სწავლის შედეგები სტრუქტურულად და კონცეპტუალურად თანმიმდევრულია. ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამების სტრუქტურები და სწავლის შედეგების ჩარჩოები მსგავსია, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულობასა და ერთი და იგივე საკვალიფიკაციო დონის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სწავლის შედეგები მიეწოდებათ დაინტერესებულ მხარეებს, სილაბუსების, სასწავლო გეგმების რუკებისა და შეფასების სისტემების მეშვეობით. ამ მიმართულებით უფრო მეტი, დეტალური მტკიცებულებების წარმოდგენა უზრუნველყოფდა აკრედიტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

საერთო ჯამში, პროგრამის სწავლის შედეგების სისტემა თანმიმდევრულია, კომპეტენციებზე დაფუძნებული და შესაბამისობაშია აკრედიტაციის მოთხოვნებთან.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	-	-

მევენახეობა და მეღვინეობა, საბაკალავრო პროგრამა	-	-
მევენახეობა და მეღვინეობა, ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	-	-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი **1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:**	**შეფასება**
მევენახეობა და მეღვინეობა, საბაკალავრო პროგრამა	შესაბამისობაშია
მევენახეობა და მეღვინეობა, ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ფორმალური მექანიზმები. ძირითადი ინსტიტუციური მექანიზმი განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში, რომლის მიხედვითაც სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება გაზომვადი კრიტერიუმებით და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. თითოეული პროგრამის

შეფასებასა და უწყვეტ განვითარებაზე პასუხისმგებელი მთავარი ორგანოა - პროგრამის განვითარების საბჭო, რომელიც თითოეული პროგრამისთვის ინდივიდუალურად იქმნება.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროგრამების ფარგლებში შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების სტრუქტურირებული სისტემა. შეფასების დოკუმენტები მოიცავს პროგრამის სწავლის შედეგებს, კურიკულუმის რუკას, პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს, შეფასების პერიოდებს და თითოეული სწავლის შედეგისთვის სამიზნე ნიშნულებს. კურიკულუმის რუკა აჩვენებს, როგორ ხდება სწავლის შედეგების გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სწავლის შედეგების შეფასება დაკავშირებულია კურიკულუმის თანმიმდევრულობასა და სტრუქტურასთან და დაგეგმილია თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ.

პროგრამები სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად იყენებენ როგორც პირდაპირ, ასევე, არაპირდაპირ მეთოდებს. პირდაპირი შეფასება მოიცავს საბოლოო გამოცდებს, პრაქტიკის ანგარიშის დაცვას და საბაკალავრო ნაშრომს. კონკრეტულად რომელი შეფასების მეთოდი იქნება გამოყენებული, დამოკიდებულია შესაბამისი სწავლის შედეგის შინაარსსა და ტიპზე. არაპირდაპირი შეფასების მეთოდები მოიცავს პრაქტიკის ხელმძღვანელის უკუკავშირს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვებს. საგანმანათლებლო პროგრამებისთვის შემუშავდება შეფასების გეგმები, რომლებიც განსაზღვრავს, თუ რომელ სემესტრში შემოწმდება თითოეული სწავლის შედეგი. შეფასების პერიოდულობა განისაზღვრება პროგრამის სტრუქტურისა და იმ ეტაპის მიხედვით, როცა შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევა არის მოსალოდნელი.

შეფასების მეთოდები ასახავს დარგის პრაქტიკულ და პროფესიულ მახასიათებლებს. კერძოდ, პრაქტიკის ანგარიშის დაცვის, პრაქტიკის ხელმძღვანელის უკუკავშირის, საბაკალავრო ნაშრომისა და დამსაქმებელთა გამოკითხვის გამოყენება შეესაბამება პროგრამების დარგობრივ სპეციფიკას და ხელს უწყობს როგორც თეორიული ცოდნის, ასევე, პრაქტიკული/პროფესიული კომპეტენციების შეფასებას.

პროგრამას განსაზღვრულია აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის. სწავლის შედეგების შეფასების გეგმა განსაზღვრავს სამიზნე მაჩვენებლებს შეფასების შემდეგი განაწილების მიხედვით: A — 10%, B — 25%, C — 30%, D — 25%, and E — 10%. ეს ნიშნულები საშუალებას იძლევა, რომ შეფასდეს თუ რამდენად არის მიღწეული პროგრამის სწავლის შედეგები და მოხდეს შეფასების რეალური შედეგების შედარება წინასწარ განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან.

გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა უზრუნველყოფილია როგორც პროგრამის განვითარების საბჭოში მათი მონაწილეობით და ამ საბჭოს ფუნქციებით, ისე არაპირდაპირი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით. საბჭოში შედიან პროგრამის ხელმძღვანელები, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტი წევრი

და პოტენციური დამსაქმებელი. გარდა ამისა, საბჭოს შეუძლია მოიწვიოს სხვა დაინტერესებული მხარეები, განსახილველი საკითხიდან გამომდინარე. დამსაქმებლთა/კურსდამთავრებულთა გამოკითხვები და პრაქტიკის ხელმძღვანელის უკუკავშირი კიდევ უფრო უწყობს ხელს გარე და პრაქტიკასთან დაკავშირებული დაინტერესებული მხარეების ჩართულობას სწავლის შედეგების შეფასებაში.

ასევე, განსაზღვრულია პროგრამის მონიტორინგსა და შემდგომ რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირებისა და სტრუქტურების ვალდებულებები. პროგრამის განვითარების საბჭო აანალიზებს და განიხილავს სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების შედეგებს და მათ საფუძველზე, განსაზღვრავს შესაბამის რეაგირების ღონისძიებებს. პროგრამის ხელმძღვანელი/აკადემიური დეკანი პასუხისმგებელია საჭირო შეფასებების ჩატარებაზე, პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების შედეგად მიღებული შედეგების ანალიზსა და პროგრამის განვითარების საბჭოსთვის შესაძლო ცვლილებების წარდგენაზე. ამრიგად, ინსტიტუციური ჩარჩო ქმნის საფუძველს, რომ სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოყენებული იქნეს პროგრამის გაუმჯობესებისთვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასევე მიუთითებს, პერსონალის ჩართულობისა და მხარდაჭერის მექანიზმების არსებობაზე. პროგრამის განვითარებისა და შეფასების პროცესებში, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია როგორც პროგრამის განვითარების საბჭოს მეშვეობით, ისე პერსონალის გამოკითხვების საშუალებით. ინსტიტუციური რეგულაციები ასევე ითვალისწინებს რეგულარულ ტრენინგებს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების მიმართულებით და პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. თუმცა, ვინაიდან პროგრამები ახალია, მათი განხორციელების პროცესში თანდათან გამოვლინდება მტკიცებულებები, რომ პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასებისა და ანალიზის შედეგებს.

უნივერსიტეტში ასევე არსებობს მექანიზმები, რითაც დაინტერესებული მხარეები ეცნობიან შეფასების შედეგებსა და შემდგომ განხორციელებულ ღონისძიებებს. ინსტიტუციური რეგულაციების მიხედვით, დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდება უკუკავშირი როგორც შიდა და გარე შეფასების შედეგად მიღებულ რეკომენდაციებზე, ასევე, მათზე რეაგირების შედეგად განხორციელებულ ღონისძიებებზე. ინფორმაციისა და გამოცდილების გასაზიარებლად, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ასევე მის გარეთ, გამოიყენება ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები და ტარდება შეხვედრები.

რადგან პროგრამები ახალია, ამჟამად, არ არსებობს სრული ციკლის განმავლობაში განხორციელებული სწავლის შედეგების შეფასების შესაბამისი მტკიცებულება. წარმოდგენილი დოკუმენტაცია აჩვენებს, რომ განსაზღვრულია შესაბამისი მექანიზმები, შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების პერიოდულობა, სამიზნე ნიშნულები, პასუხისმგებელი ერთეულები და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროცედურები.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა იმუშავა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესის გაციფრულებაზე და ელექტრონული სისტემის მეშვეობით, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ავტომატიზირებულია, რაც პროგრამის სწავლის შედეგებს აკავშირებს კონკრეტულ შეფასების მეთოდებთან და ამავდროულად, ხელს უწყობს პროცესში პერსონალის ჩართულობას.

საერთო ჯამში, პროგრამების ფარგლებში, სწავლის შედეგების შეფასება სტრუქტურირებული და ინსტიტუციურად რეგულირებულია. რადგან პროგრამები ახალია, აღნიშნული მიგნებები უნდა დადასტურდეს სამომავლო შეფასების ციკლების დროს და უნდა მოხდეს შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების დოკუმენტირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუქა;
- კითხვარის ფორმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები**: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	-	-
მევენახეობა და მეღვინეობა, საბაკალავრო პროგრამა	-	-
მევენახეობა და მეღვინეობა, ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	-	-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**შეფასება**
მევენახეობა და მეღვინეობა, საბაკალავრო პროგრამა	შესაბამისობაშია
მევენახეობა და მეღვინეობა, ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები:

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევითი პოტენციალი, შესაბამისი მიმართულებით წინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების არსებობა, წარმატებული პრაქტიკა და კვლევის შედეგები;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს უსდ - ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას, დარგობრივი, სამეცნიერო ხასიათის თანამშრომლობის/პროფესიული ქსელის ჩამოყალიბებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი სწავლის სფეროს თავისებურებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს მეცნიერების/სფეროს, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების,

ინტელექტუალურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ინდუსტრიულ ან/და სხვა სახის განვითარებას

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ტრანსფერული უნარების განვითარების გზით ან/და სფეროს აქტუალურ საკითხებზე/ტენდენციებზე დოქტორანტის მიერ ცოდნის გაღრმავებით ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის სათანადო ხარისხით განხორციელებას. ასევე, იძლევა მეთოდოლოგიურ მითითებებს კვლევითი კომპონენტის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელებისათვის;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი განაპირობებს მნიშვნელოვანი ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებას, რომელიც საკვლევი სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს სამეცნიერო დარგებს შორის ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობის განვითარებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს დოქტორანტებისთვის ისეთი კომპეტენციებისა და ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორიცაა, მაგალითად: კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის შედეგების იმპლემენტაციის გზით ტექნოლოგიურ ტრანსფერში ჩართულობა, ლიდერობა, ხელმძღვანელობა, კარიერის განვითარების დაგეგმვა, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, სწავლება (პედაგოგიური უნარები), პოპულარულ სამეცნიერო ენაზე აზრის გადმოცემა და სხვა;
- უსდ - ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ეფექტურად კომპონენტის განხორციელებისათვის შემუშავებული აქვს: საკვლევი თემის შერჩევის, შეცვლის, სამეცნიეროკვლევის განხორციელების და წარდგენის მექანიზმი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის კვლევის სფეროს/სფეროების შესაბამისად და დოქტორანტთა ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის შესრულებას სათანადო დონეზე აკადემიური კეთილსინდისიერების მექანიზმების დაცვის გათვალისწინებით;
- დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის გეგმა, ითვალისწინებს - კვლევის მიზანს, სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურის და კვლევის განხორციელების სავარაუდო განრიგს/გრაფიკს, კვლევის მეთოდოლოგიას და სხვა. კვლევის გეგმა მხარს უჭერს დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისად საქმიანობის წარმართვას და სადოქტორო ნაშრომის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულებას;
- უსდ - ში მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სფეროში მოქმედ კვლევის ეთიკის ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი კარგად არის შემუშავებული და მეტწილად შეესაბამება აკრედიტაციის მოთხოვნებს. პროგრამა შემუშავებულია მკაფიო

ინსტიტუციური მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც მოიცავს სასწავლო გეგმის შემუშავებას, სწავლის შედეგებს, დაინტერესებული მხარეების ჩართულობასა და უწყვეტი ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს. კურიკულუმი ლოგიკურად არის აგებული და მოიცავს STEM-ისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესავალ საგნებს, სპეციალიზებულ პროფესიულ, ლაბორატორიულ და პრაქტიკულ კურსებს, სტაჟირებასა და საბაკალავრო ნაშრომს.

სასწავლო დატვირთვა და ECTS-ის სტრუქტურა შეესაბამება საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტული 6 ECTS კრედიტი, 150-საათიანი კურსების სტრუქტურა უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას, პრაქტიკაზე ორიენტირებულ კურსებში დატვირთვის უფრო დიფერენცირებული გადანაწილება კიდევ უფრო გააძლიერებდა სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას. პროგრამის ყველა კურსს, „საბაკალავრო ნაშრომის“ გარდა, მინიჭებული აქვს 6 ECTS კრედიტი. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განმარტა, რომ ეს ასახავს უნივერსიტეტის ინსტიტუციურ მიდგომას და აღწერა მოდელი, რომლის მიხედვითაც ლექტორებს ევალებათ სილაბუსების სტრუქტურირება მითითებული სამუშაო დატვირთვის ჩარჩოს ფარგლებში. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ კურსები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ძირითადი სწავლის შედეგების მიღწევას, შინაარსითა და სამუშაო დატვირთვით არ უნდა უტოლდებოდეს არჩევით ან STEM-ბლოკის კურსებს.

პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძლიერი მხარეა მისი გამორჩეული პროფესიული პროფილი, რომელიც აერთიანებს ქართული მეღვინეობის ტრადიციულ მემკვიდრეობასა და თანამედროვე საერთაშორისო ტექნოლოგიებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქვევრის ღვინის ტრადიციებს, საქართველოს დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებსა და თანამედროვე მევენახეობისა და მეღვინეობის პრაქტიკებს. ინგლისურენოვანი პროგრამა ასევე ხელს უწყობს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიას, ვინაიდან ის ორიენტირებულია საერთაშორისო სტუდენტებზე და გლობალურ შრომის ბაზარზე. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ეფექტურად უჭერს მხარს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და მევენახეობა-მეღვინეობის ბაკალავრის კვალიფიკაციის მოთხოვნებს. კურიკულუმის რუკა და შეფასების სისტემა მკაფიოდ ასახავს კურსების წვლილს სწავლის შედეგების მიღწევაში, ხოლო კომპეტენციების ეტაპობრივი განვითარება და წინაპირობების სტრუქტურა უზრუნველყოფს სტუდენტთა აკადემიურ პროგრესს. მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმი თანმიმდევრული და კარგად სტრუქტურირებულია, რეკომენდებულია, კურსი „ნიადაგმცოდნეობის“ გადავიდეს სავალდებულო კურსების სიაში, რადგან ის კრიტიკულად მნიშვნელოვანია მევენახეობასა და ღვინის მდგრად წარმოებაში. სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების მიხედვით, მევენახეობისა და მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს უნდა ჰქონდეთ ფართო ცოდნა ნიადაგის ტიპებისა და ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების მეთოდების შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა მოსალოდნელია პროგრამის ძირითადი კურსების მეშვეობით, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ამ კურსის არჩევით ბლოკში განთავსება მიზანშეწონილი არ არის. ასევე, სასურველია, სავალდებულო გახდეს საგანი 'შრომის უსაფრთხოება „მევენახეობასა და მეღვინეობაში", რადგან იგი უშუალოდ უკავშირდება კურსდამთავრებულთა მომავალ საოპერაციო და მენეჯერულ პასუხისმგებლობებს, ვენახებსა და ღვინის საწარმოებში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით, სტუდენტებს გააჩნიათ ინგლისური ენის გარკვეული დონის ცოდნა; შესაბამისად, უცხო ენის სწავლება არ ხორციელდება დამწყებთათვის განკუთვნილ დონეზე. საგანი „ინგლისური ენა მევენახეობისა და მეღვინეობისთვის“ ისწავლება მხოლოდ პირველ სემესტრში, როდესაც სტუდენტებმა ჯერ არ იციან

დარგობრივი ტერმინოლოგია მშობლიურ ენაზე (ქართულენოვანი პროგრამის ფარგლებში), რაც ქმნის რისკს, რომ აღნიშნული კურსი მათთვის რთულად გასაგები იქნება.
დოკუმენტაცია აჩვენებს, რომ პროგრამა ითვალისწინებს თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებსა და დარგის უახლეს ტენდენციებს, როგორიცაა ღვინის თანამედროვე ტექნოლოგიები, აგროეკოლოგია, კლიმატის ცვლილება, სურსათის უვნებლობა და მევენახეობის თანამედროვე პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს ტრადიციული ცოდნის ინოვაციებთან შერწყმას. პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია - ინტერნაციონალიზაცია, რაც დასტურდება პროგრამის ინგლისურენოვანი სტრუქტურით, სასწავლო კურსით - „მსოფლიო მევენახეობა და მეღვინეობა“ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებით. პროგრამის განვითარებას ხელს უწყობს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, რაც გამოიხატება პროგრამის განვითარების საბჭოს საქმიანობაში მათი მონაწილეობითა და სხვადასხვა უკუკავშირის მექანიზმებით, რაც აერთიანებს სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებსა და ლექტორებს და უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ გაუმჯობესებას და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას.
საერთო ჯამში, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი და განვითარების სისტემა თანმიმდევრულია, თანამედროვეა და მეტწილად შეესაბამება აკრედიტაციის მოთხოვნებს. პროგრამის ძირითადი ძლიერი მხარეებია - კარგად სტრუქტურირებული კურიკულუმი, შრომის ბაზარზე ორიენტაცია, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ტრადიციული ქართული მეღვინეობის მემკვიდრეობის ინტეგრაცია თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკებთან. მიუხედავად ამისა, პროგრამის შემდგომი გაძლიერების მიზნით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინება.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	**რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „ნიადაგმცოდნეობა“ გახდეს სავალდებულო, მევენახეობა-მეღვინეობასა და მდგრადი ღვინის წარმოებაში მისიმნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით.**	**სასურველია, სასწავლო კურსი „შრომის უსაფრთხოება მევენახეობასა და მეღვინეობაში" შეტანილი იქნეს სავალდებულო კურსების ჩამონათვალში, რადგან კურსდამთავრებულებს სამომავლოდ მოუწევთ როგორც ოპერაციული, ისე მენეჯერული პასუხისმგებლობების შესრულება,ვენახებსა და მეღვინეობაში.** **სასურველია, კრედიტები განისაზღვროს არა ერთიანი ინსტიტუციური მიდგომით, არამედ ინდივიდუალურად, თითოეული კურსის მნიშვნელობისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში მათი წვლილის გათვალისწინებით.** **სასურველია, არსებული კურსი „ინგლისური მევენახეობისა და მეღვინეობისთვის“ გადავიდეს შემდეგ სემესტრში ან ზედა სემესტრებში, დაემატოს უფრო მაღალი დონის სპეციალიზებული კურსი — „ინგლისური მევენახეობისა და მეღვინეობისთვის II“.**
მევენახეობა და მეღვინეობა, საბაკალავრო პროგრამა	-	-
მევენახეობა და მეღვინეობა, ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	-	-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	
მევენახეობა და მეღვინეობა, საბაკალავრო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია
მევენახეობა და მეღვინეობა, ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
➢სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

წარმოდგენილი სილაბუსების საფუძველზე, მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებულია კარგად სტრუქტურირებული და თანამედროვე სასწავლო კურსები, რომლებიც მეტწილად შეესაბამება აკრედიტაციის მოთხოვნებს. სილაბუსებში თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი სასწავლო კურსის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, დატვირთვის განაწილება და ბიბლიოგრაფია, რაც ნათლად ასახავს შედეგზე ორიენტირებულ მიდგომას. შესაბამისობა იკვეთება ძირითად პროფესიულ სასწავლო კურსებში, ხოლო საგნების უმრავლესობა სათანადოდ აერთიანებს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიას. სასწავლო კურსების შინაარსი თანხვედრაშია განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, რაც გამოიხატება ლოგიკური პროგრესიით - შესავალი კონცეფციების გამოყენებიდან პროფესიულ კომპეტენციებამდე. აშკარაა თანმიმდევრულობა სწავლის შედეგებსა და კურსის თემატიკას შორის. თითოეული სასწავლო კურსი მოიცავს 6 ECTS კრედიტს და მიჰყვება ეფუძნება სტანდარტიზებულ, 150 - საათიან სასწავლო დატვირთვის სტრუქტურას. საკონტაქტო საათებსა და დამოუკიდებელ მუშაობას შორის თანაფარდობა ზოგადად ადეკვატურია, განსაკუთრებით თეორიულ, ანალიტიკურ და კვლევაზე ორიენტირებულ საგნებში. ამავდროულად, რამდენიმე მკვეთრად პრაქტიკაზე ან ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ სასწავლო კურსში, საკონტაქტო საათების რაოდენობა შედარებით შეზღუდულია, კურსების ფართო პროფესიულ შინაარსსა და პრაქტიკულ სწავლის შედეგებთან შედარებით. დამატებითი ლაბორატორიული, საველე მუშაობის ან პრაქტიკაზე ორიენტირებული საკონტაქტო საათები მეტად განავითარებდა პროგრამის პრაქტიკულ კომპეტენციას. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ისეთ სასწავლო კურსებს, რომლებიც საჭიროებენ მნიშვნელოვან ლაბორატორიულ პრაქტიკას, როგორიცაა

„ღვინის მიკრობიოლოგია“ და „ენოქიმია“. პირველ შემთხვევაში, პრაქტიკული მუშაობისთვის გამოყოფილია მხოლოდ ერთი აკადემიური საათი, მაშინ როდესაც ლექციებს ეთმობა ორი საათი. მეორე შემთხვევაში, სასწავლო კურსის დატვირთვა შემოიფარგლება კვირაში ორსაათიანი ლექციით, ხოლო სწავლების მეთოდები არ მოიცავს პრაქტიკულ მეცადინეობებსა თუ ლაბორატორიულ მუშაობას. შეფასების სისტემები მოცემულია ყველა სილაბუსში; შეფასების მეთოდები მრავალფეროვანია და მოიცავს: წერით გამოცდებს, პრეზენტაციებს, ქვიზებსა და პრაქტიკულ დავალებებს. სილაბუსები ზოგადად კარგად სტრუქტურირებული და თანმიმდევრულია; რამდენიმე სასწავლო კურსის აღწერილობაში აშკარად იკვეთება სტანდარტიზაციის მაღალი დონე.
სავალდებულო ლიტერატურა და სასწავლო რესურსები მთლიანობაში შესაბამისია და ხელს უწყობს როგორც სასწავლო კურსის, ისე პროგრამის დონის სწავლის შედეგების მიღწევას. რამდენიმე კურსი მოიცავს თანამედროვე საერთაშორისო ლიტერატურას. ბიბლიოგრაფიის მნიშვნელოვანი ნაწილი განახლებულია და ასახავს სფეროში არსებულ უახლეს ტენდენციებს, რაც განსაკუთრებით გამოიხატება 2017–2025 წლებში გამოცემული საერთაშორისო წყაროების ჩართვით. ამავდროულად, ზოგიერთი კურსი კვლავ მნიშვნელოვნად ეყრდნობა 1980-იანი და 1990-იანი წლების ძველ ქართულენოვან სახელმძღვანელოებს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მასალები შესაძლოა კვლავინდებურად ღირებული იყოს ადგილობრივი მევენახეობისა და მეღვინეობის ტრადიციების წარმოჩენის თვალსაზრისით, რამდენიმე სასწავლო კურსის შემთხვევაში, სასარგებლო იქნება უფრო თანამედროვე, რეცენზირებადი სამეცნიერო პუბლიკაციებისა და საერთაშორისო კვლევითი სტატიების ინტეგრირება.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სილაბუსები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების	**რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური

	მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:	რეკომენდებულია, სასწავლო კურსებისთვის, რომლებიც მოითხოვს ლაბორატორიულ კომპეტენციებს, განისაზღვროს შესაბამისი პრაქტიკული საათები და დაინერგოს ლაბორატორიაზე დაფუძნებული სასწავლო აქტივობები.	მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის შიდა რეგულაციით, ყველა სასწავლო კურსს თანაბარი რაოდენობის კრედიტი ენიჭება, სასურველია, აღნიშნული პრაქტიკა გადაიხედოს მოცემული პროგრამის შემთხვევაში. რთულია დაშვება, რომ არჩევითი კურსის დასაუფლებლად საჭირო სამუშაო დატვირთვა ძირითადი პროფესიული საგნის სამუშაო დატვირთვას უტოლდება.
მევენახეობა და - მეღვინეობა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	-	-
მევენახეობა და - მეღვინეობა, ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	-	-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.5. სასწავლო კურსი/საგანი	**შეფასება**
მევენახეობა დამეღვინეობა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია
მევენახეობა დამეღვინეობა, ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული

მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ - ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჯაროა; ისინი მოიცავს ინფორმაციას პროგრამის, მიღების ვადებისა და წარსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, ასევე ინფორმაციას ხელმძღვანელების სამეცნიერო -კვლევითი ინტერესების, დოქტორანტების მიერ განხორციელებული კვლევების მხარდაჭერისა და წახალისების მექანიზმებსა და სხვა საკითხებზე.
- სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები ითვალისწინებს აპლიკანტების იმ გამოცდილებისა და შესაძლებლობების შეფასებას, რომლებიც აუცილებელია სადოქტორო პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის.
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისას, ასევე გათვალისწინებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგია;
- დოქტორანტთა მიღება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ხორციელდება კომისიური წესით;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება განსაზღვრავს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიღების პროცესში ჩართული კომისიის შემადგენლობის ფორმირების, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა შეფასებას ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი კანდიდატი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, კომისიას წარუდგენს სამეცნიერო-კვლევით/შემოქმედებით თეზისს/პროექტს. კანდიდატს ასევე მოეთხოვება შესაბამის სფეროში პუბლიკაციის/ნაშრომის ქონა და/ან სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა, და/ან შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება. დადგენილი მოთხოვნები უნდა იძლეოდეს კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისას განისაზღვრება უცხო ენის ცოდნის დონე. დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას არანაკლებ B2 დონეზე, ან ერთ -ერთ სხვა დასავლეთევროპულ უცხო ენას არანაკლებ B2 დონეზე და, ამავდროულად, ინგლისურ ენას არანაკლებ B1 დონეზე;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისას გათვალისწინებულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული ადამიანური, ფინანსური და კვლევითი რესურსები, მათ შორის, დოქტორანტთა ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების რაოდენობრივი თანაფარდობა. ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გაითვალისწინებს დოქტორანტების მიერ პროგრამის დროულად დასრულების შესახებ ანალიზის შედეგებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

უნივერსიტეტმა საფუძვლიანად გააანალიზა პროგრამაზე მიღების მოთხოვნები. შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრებმა დაადასტურა ინგლისური ენის ცოდნის მნიშვნელობა, რადგან როგორც ქართულენოვანი, ასევე, ინგლისურენოვანი პროგრამები დიდწილად იყენებს უცხოურ საგანმანათლებლო მასალებს. ასევე, დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავა აკადემიური და კვლევითი ეთიკის დაცვის მექანიზმები, მათ შორის პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების პროცედურები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად მუშაობს შეფასებისა და მონიტორინგის თანამედროვე ინსტრუმენტების დანერგვაზე, რაც პროგრამის განვითარების პროცესს სისტემურ ხასიათს სძენს.
ამავდროულად, პოტენციური რისკი შესაძლებელია იყოს, მიღების ეტაპზე, პრაქტიკული და საველე კომპონენტებისთვის, სტუდენტების მზაობის შეფასების მკაფიოდ განსაზღვრული, დამატებითი მექანიზმების არარსებობა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში. რეკომენდებულია, პროგრამამ წინასწარ განსაზღვროს მკაფიო მექანიზმები, სტუდენტების ინფორმირებისა და მომზადების მიზნით, საველე პრაქტიკის კომპონენტების, რეგიონული მობილობის მოთხოვნებისა და პრაქტიკული სწავლების სპეციფიკური საჭიროებების თაობაზე. ეს ხელს შეუწყობდა სასწავლო პროცესის ეფექტურ დაგეგმვას და გააუმჯობესებდა სტუდენტების ჩართულობისა და მონაწილეობის ხარისხს.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების	**რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური

	მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:	რეკომენდებულია, რომ პროგრამის ფარგლებში, წინასწარ შემუშავდეს მკაფიო მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებასა და მომზადებას საველე პრაქტიკის კომპონენტების, რეგიონული მობილობის მოთხოვნებისა და პრაქტიკული სწავლების სპეციფიკური მოთხოვნების შესახებ. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურ დაგეგმვას და გაუმჯობესებს სტუდენტების ჩართულობისა და მონაწილეობის ხარისხს.	-
მევენახეობა და - მეღვინეობა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	-	-
მევენახეობა და - მეღვინეობა, ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	-	-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შეფასება**
მევენახეობა და მეღვინეობა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია
მევენახეობა და მეღვინეობაინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტების პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, რაც დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენს. სასწავლო გეგმა მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტებს, სტუდენტების ჩართულობას წარმოებისა და საველე პროცესებში, ასევე, სხვადასხვა კომპანიასა და ვენახებში გამოცდილების მიღების შესაძლებლობებს.
დადებითად უნდა შეფასდეს უნივერსიტეტის ძალისხმევა, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების რეალურ პროფესიულ გარემოსთან დაკავშირებას და სექტორული პრაქტიკული გამოცდილების სასწავლო პროცესში ინტეგრირებას. ასევე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი სხვადასხვა სექტორულ პარტნიორთან თანამშრომლობს. თუმცა, ადგილზე ვიზიტისას გამოვლინდა, რომ მნიშვნელოვანი გამოწვევაა - უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული პრაქტიკული სწავლების ბაზების არარსებობა. უნივერსიტეტის წარმომადგენლების განმარტებით, პრაქტიკული სწავლება წლის განმავლობაში დაგეგმილია სხვადასხვა ვენახსა და კომპანიაში, ძირითადად, თბილისის გარეთ. აღნიშნული მოდელი გარკვეულ კითხვებს / შეშფოთებას იწვევს სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ პრაქტიკული კომპონენტის მნიშვნელოვანი ნაწილი დაგეგმილია უნივერსიტეტის გარეთ სხვადასხვა ლოკაციაზე, შესაძლოა, სირთულეები შეიქმნას სტუდენტთა დატვირთვის დაბალანსებისა და სწავლის უწყვეტობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.
ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა წარმოადგინოს დამატებითი დეტალური მექანიზმები, რომლებიც ასახავს როგორ მოხდება თეორიული და პრაქტიკული სწავლების ეფექტური ინტეგრირება, დროის მართვისა და ლოგისტიკური ფაქტორების გათვალისწინებით.
გარდა ამისა, პრაქტიკული კომპონენტის გარე პარტნიორებზე დიდწილად დამოკიდებულება შესაძლოა გახდეს რისკ-ფაქტორი პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობისა და უწყვეტობისთვის. **რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა შექმნას საკუთარი, პრაქტიკული სასწავლო ობიექტები, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების მდგრადობისა და ეფექტურობის გაძლიერების მიზნით.**

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:	**რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა შექმნას საკუთარი, პრაქტიკული სასწავლო ობიექტები, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების მდგრადობისა და ეფექტურობის გაძლიერების მიზნით.**	-
მევენახეობა და - მეღვინეობა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	-	-
მევენახეობა და - მეღვინეობა, ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	-	-

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი	**შეფასება**

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	
მევენახეობა და მეღვინეობა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ნაწილობრივ შესაბამისობაშია
მევენახეობა დამეღვინეობა, ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ნაწილობრივ შესაბამისობაშია

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება- წავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლა - სწავლების მეთოდები, ზოგადად, შეესაბამება სტუდენტზე ორიენტირებული განათლების პრინციპებს და თანხვედრაშია უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურთან, სასწავლო კურსების შინაარსსა და დაგეგმილ სწავლის შედეგებთან. პროგრამა მოიცავს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს, რომლებიც ხელს უწყობს თეორიული ცოდნის, ანალიტიკური აზროვნებისა და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. ადგილზე ვიზიტისას, ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა სასწავლო გარემო და აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალი ინფორმირებულია სწავლების თანამედროვე მიდგომებისა და სტუდენტთა აქტიური ჩართულობის პრაქტიკის შესახებ.

ასევე, დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა მიზნად ისახავს პრაქტიკული კომპონენტებისა და დარგთან დაკავშირებული გამოცდილების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში.

ამავდროულად, სილაბუსების ანალიზმა აჩვენა, რომ რამდენიმე კურსში პრაქტიკული სწავლა - სწავლების მეთოდები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული ან საკმარისად დეტალიზებული. პროგრამის პრაქტიკული ხასიათიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სილაბუსებში თანმიმდევრულად აისახოს პრაქტიკული სწავლების კომპონენტები, მეთოდოლოგია და პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმები. მაგალითად: პროგრამა მოიცავს კურსებს, რომლებიც მოითხოვს მნიშვნელოვან ლაბორატორიულ პრაქტიკას, როგორიცაა ღვინის მიკრობიოლოგია და ენოქიმია. პირველ შემთხვევაში, პრაქტიკული მუშაობისთვის გამოყოფილია მხოლოდ ერთი აკადემიური საათი, მაშინ როდესაც ლექციებს ეთმობა ორი საათი. მეორე შემთხვევაში, სასწავლო

კურსის დატვირთვა ითვალისწინებს კვირაში ორსაათიან დატვირთვას, ხოლო სწავლების მეთოდები არ მოიცავს პრაქტიკულ მეცადინეობებსა თუ ლაბორატორიულ მუშაობას.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:	რეკომენდებულია, იმ სასწავლო კურსებისთვის, რომლებიც მოითხოვს ლაბორატორიულ კომპეტენციებს, განისაზღვროს შესაბამისი საათობრივი დატვირთვა და დაინერგოს პრაქტიკული მეცადინეობები.	-
მევენახეობა და - მეღვინეობა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	-	-
მევენახეობა **და** - მეღვინეობა, ინგლისურენოვანი	-	-

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა		

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	**შეფასება**
მევენახეობა და მეღვინეობა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია
მევენახეობა და მეღვინეობა, ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტის შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- დოქტორანტები ფასდებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უსდ) დადგენილი პროცედურების შესაბამისად, რომლებიც არის გამჭვირვალე, სანდო და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის სასწავლო კომპონენტი ფასდება სასწავლო კომპონენტის შინაარსისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მოთხოვნების შესაბამისი მეთოდებით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ცოდნისა და უნარების შეფასებას, მათ შორის ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევისა და დამოუკიდებლად გამოყენების, საკუთარი მოსაზრების დასაბუთებულად გამოხატვისა და სხვა უნარების შეფასებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა განსაზღვრავს დოქტორანტის დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა კვლევითი პროექტის/ნაშრომის დაცვაზე დაშვების მოთხოვნებს. აღნიშნული ითვალისწინებს სტუდენტის პროგრესის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებას;
- აკადემიური ხარისხის მისაღებად დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნაშრომის წარდგენამდე, დოქტორანტი ვალდებულია გამოაქვეყნოს მინიმუმ ორი სამეცნიერო სტატია შესაბამისი კვლევითი სფეროდან, რომელთაგან ერთი უნდა იყოს გამოქვეყნებული უცხოური საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებად ჟურნალში.
- ხელმძღვანელი პერიოდულად აკონტროლებს დოქტორანტის მიერ კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრული შესრულების პროგრესს, უზრუნველყოფს განმავითარებელ შეფასებასა და უკუკავშირს.
- სადოქტორო ნაშრომის აკადემიური სტილის მოთხოვნები, აგრეთვე სადოქტორო ნაშრომის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რომლებიც ითვალისწინებს სფეროს სპეციფიკას, წინასწარ

არის ცნობილი დოქტორანტებისთვის და გათვალისწინებულია სადოქტორო ნაშრომების შეფასებისას.

- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასებისას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უსდ) იყენებს აკადემიური და კვლევითი ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, პლაგიატის თავიდან აცილების, გამოვლენისა და მასზე რეაგირების მექანიზმებს;
- სადოქტორო დისერტაციის დაცვა ხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი სადოქტორო დისერტაციის შეფასებისა და დაცვის პროცედურების შესაბამისად, რაც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.
- სადოქტორო დისერტაციის შეფასება ტარდება კომისიური წესით - კომისიის/კომისიების მიერ;
- სადოქტორო პროგრამის შეფასებისა და/ან დაცვის პროცედურები ითვალისწინებს კომპეტენტური დაწესებულების (ადგილობრივი და/ან უცხოური უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), ადგილობრივი და საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნებს (საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის შემდეგი სასწავლო სფეროებისთვის: ქართული ფილოლოგია, აფხაზური ფილოლოგია, ასევე, თუ დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი), რომელიც აფასებს დისერტაციის სამეცნიერო კვლევითი/შემოქმედებითი ნაშრომის სიახლეს და დისერტაციის დაცვისთვის მზადყოფნას;
- ადგილობრივი რეცენზენტი არის ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც ფლობს სფეროს თანამედროვე ცოდნას, აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს სულ მცირე 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებით – შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი) საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებად უცხოურ ჟურნალში. ეს ნაშრომი შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/საკვლევ სფეროს;
- საერთაშორისო რეცენზენტი არის უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც ფლობს სფეროს თანამედროვე ცოდნას, აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს სულ მცირე 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებით – შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი) საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებად უცხოურ ჟურნალში. ეს ნაშრომი შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/საკვლევ სფეროს;
- უნივერსიტეტის მიერ სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტების შერჩევისა და დანიშვნის მექანიზმები და პროცესები უნდა იყოს გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და ობიექტური. რეცენზენტების შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ანონიმურობა, რაც ხელს უწყობს მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური დასკვნის მომზადებას;
- დაცვის კომისია (კომისიები) შედგება შესაბამისი სფეროს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლებისგან, რომელთა კომპეტენციაც იძლევა ნაშრომის, აგრეთვე კვლევის/შემოქმედებითი კვლევისა და მისი შედეგების ორიგინალურობის სიღრმისეული და საფუძვლიანი შეფასების შესაძლებლობას;
- დაცვის კომისიის (კომისიების) შემადგენლობაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლების მონაწილეობა; დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი არ მონაწილეობს დაცვის კომისიის (კომისიების) მუშაობაში;
- სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, დაცვის კომისიის (კომისიების) შემადგენლობაში შედის (საჭიროების შემთხვევაში) შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე საერთაშორისო შემფასებელი (შემფასებლები) და სამთავრობო/არასამთავრობო სექტორისა და შრომის ბაზრის წარმომადგენელი (წარმომადგენლები);

- სადოქტორო დისერტაციის დაცვა საჯარო და ღიაა; სადოქტორო დისერტაციის რეზიუმე/შეჯამება ქართულ, ინგლისურ და პროგრამის განხორციელების ენებზე საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველასთვის;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტების პროგრამაზე ჩარიცხვის შეფასების შედეგების გასაჩივრებას, ასევე დისერტაციის დაცვის პროცედურებს. აპელაციის / გასაჩივრების წესები წინასწარ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი და უზრუნველყოფს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს რეცენზენტის ძებნის, დანიშვნის და მისი საქმიანობის განსაზღვრის მექანიზმებს;
- ინფორმაცია მიმდინარე და დაცული დისერტაციების თემების შესახებ ქვეყნდება ერთიან ელექტრონულ პორტალზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სტუდენტების შეფასება ტარდება დადგენილი პროცედურების დაცვით. ის გამჭვირვალეა და შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას.
პროგრამების შეფასების სისტემა მოიცავს:
